დანართი 4.

საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

1. შტაბის უფროსი

საგანგებო შტაბის უფროსი, პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში დაგეგმვისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე მშვიდობიან პერიოდსა და ომის შემთხვევაში.

საერთო მოვალეობები

- მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს;
- საგანგებო სიტუაციების დროს, საგანგებო ვითარების შეფასება და მის საფუძველზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მართვა;
- შტაბის წევრებისა და მოსახლეობისათვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება;
- მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება;
- შტაბში მოხალისეთა ფორმირებების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება;
- ჯგუფებისათვის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მომარაგება, ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა;
- მოსახლეობის დროული ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში;
- საგანგებო სიტუაციის ზონიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო, საძიებო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება, საჭირო საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალების განსაზღვრა/დაზუსტება. საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში მოსახლეობის შეფარების ორგანიზება დამცავ ნაგებობებში.

საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას:
საერთო მოვალეობებთან ერთად უზრუნველყოფს რეაგირების ღონისძიებათა კოორდინირებას და მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებებს.

- **რეაგირების ღონისძიებათა კოორდინირების სფეროში ძირითადი ფუნქცია ამოცანებია:**
- საძიებო-სამაშველო, საავარიო-აღდგენითი სამუშაოების განხორციელების კოორდინაცია;
- საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო, სახანძრო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- ადგილობრივ დონეზე სახანძრო-სამაშველო მორეაგირე ფორმირებების ჩაბმა საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოებში.

რეაგირების ღონისძიებების კოორდინირების ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილებასთან კოორდინაციით და დახმარებით პასუხისმგებელია:

- ოპერატიულ სამაშველო მოქმედებაზე;

- საავარიო-სამაშველო, სახანძრო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო და გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოების ძალებისა და საშუალებების საგანგებო სიტუაციების ზონაში გადანაწილებაზე;
- დაზიანების მასშტაბების, დაზარალებულთა რაოდენობის დადგენის, ასევე საინჟინრო და სპეციალიზირებული ტექნიკის რაოდენობის განსაზღვრასა და მათ სამაშველო სამუშაოებში ჩაბმაზე;
- პირველადი სამედიცინო დახმარების მხარდაჭერასა და მძიმე ავადმყოფების სხვა ქალაქებში გადაყვანის ღონისძიებების შემუშავებაზე;
- საგანგებო სიტუაციის ზონის შემოფარგვლასა და იზოლირებაზე;
- საგანგებო სიტუაციის ლოკალიზაციის სამუშაოებზე;
- ხანძრის ქრობის სამუშაოებზე.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს და აკონტროლებს საგანგებო სიტუაციის ზონაში ავტოტრანსპორტის შესვლას, გარდა სპეციალური მანქანებისა.შემოფარგვლავს და იცავს პერიმეტრს, აწარმოებს ბრძოლას მაროდიორობის წინააღმდეგ;

შპს ,,ჯანმრთელობის სახლი გურიაში" და შპს ,,მედალფა", ასევე სსიპ საგანგებო სიტუაციებისა და კოორდინაციის გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონული (ჩოხატაურის) ფილიალი - უზრუნველყოფს დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და სამედიცინო პუნქტებში გადაყვანას;

შპს ,,NEW ROAD" და შპს „ტრანსპორტელი" - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში ჩაბმული ძალების შესაბამისი ტრანსპორტით უზრუნველყოფას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

შპს "მაგთიკომი", ,,შპს ,,სილქნეტი, შპს "ბილაინი", შპს ,,სქაიტელი" - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების, რეაგირების ძალების ფორმირებების, ჯგუფებისა და სხვა მონაწილე უწყებების კავშირით უზრუნველყოფას;

კომპანიები სს ,,ენერგო პრო ჯორჯია" ჩოხატაურის მომსახურების ცენტრი და შპს ,,სოკარ ჯორჯია" (გაზი) უზრუნველყოფენ საგანგებო სიტუაციების ზონებში ენერგომომარაგების კომუნიკაციებზე საავარიო-აღდგენითი ჯგუფების მუშაობას;

შპს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ჩოხატაურის სერვის ცენტრი - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში სასმელი წყლის კომუნიკაციებზე საავარიო-აღდგენითი ჯგუფების მუშაობას - დაბა ჩოხატაურში;

სსიპ იუსტიციის სახლის ,,ჩოხატაურის იუსტიციის სახლი" - მოქალაქეებზე, რომელთაც საგანგებო სიტუაციების შედეგად დაკარგეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, გასცემს შესაბამის საბუთებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - შეიმუშავებს და განახორციელებს მოსწავლეთა და სტუდენტთა საევაკუაციო ღონისძიებებს და დროებითი მოძრავი სკოლების ფუნქციონირებას.

მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების სფეროში ძირითადი ფუნქცია-ამოცანებია:

- მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- საევაკუაციო მიმღები და გამანაწილებელი ცენტრების გაშლის ორგანიზება;
- ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;

- საევაკუაციო მარშრუტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის შეტყობინება და ინფორმირება;
- ევაკუირებულთა სამედიცინო უზრუნველყოფა;
- ენერგო უზრუნველყოფა;
- ცხოველების ევაკუაცია.

მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის ორგანიზებას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება:

- ორგანიზებას უწევს მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა-დაზუსტებას მოწყვლადი ჯგუფების შესაბამისად, მათი ოპერატიულად ევაკუაციის მიზნით;
- მუდმივი კავშირშია საევაკუაციო შემკრებ და გამანაწილებელ პუნქტებთან (არსებობის შემთხვევაში შუალედურ საევაკუაციო პუნქტებთან);
- აზუსტებს ევაკუირებულთა განთავსების მიზნით უსაფრთხო ზონას, მოძრაობის მარშრუტს, ჩასხდომისა და გადმოსხდომის ადგილებს;
- ორგანიზებას უკეთებს აღრიცხვიანობას ავტოტრანსპორტზე, რომელიც გამოყენებულია ევაკურებულთა გადასაყვანად;
- ორგანიზებას უწევს ევაკუირებულთა მომარაგებას პირველადი მოხმარების ნივთებით;
- ჩასახლების ადგილებში ჩასვლის შემდეგ ორგანიზებას უწევს ევაკუირებულთა დროულ დაბინავებას და მათ ყოველმხრივ უზრუნველყოფას.

ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში ვალდებულია:

- დროულად შეატყობინოს მოსახლეობას ევაკუაციის დაწყება;
- დროულად გააგზავნოს შემკრებ საევაკუაციო პუნქტზე თავისი წარმომადგენელი;
- ორგანიზება გაუწიოს მოსახლეობის თავშესაფრებში მოთავსებას, დროებითი თავშესაფრების (საველე „კარვების ქალაქის“) შექმნას, ასევე ამ მიზნით სახვადასხვა ობიექტების შენობა-ნაგებობების გამოყენებას;
- ევაკუირებულთა კვებით უზრუნველყოფას მობილური კვების პუნქტების მეშვეობით; პირველადი მოხმარების საგნების მოწოდებას;
- იმ პირების გამოვლენას, რომლებიც საჭიროებენ განსხვავებულ სპეციალიზირებულ დახმარებას (შეზღუდული შესაძლებლობის პირები, სხვა ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა);
- კოორდინირება გაუწიოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობას.

2. შტაბის უფროსის მოადგილე შტაბის კოორდინაციის დარგში

საერთო კოორდინაციის სფეროში ძირითადი ამოცანებია:

- მუნიციპალიტეტის საგანგებო მართვის გეგმის შედგენისა და მისი ამოქმედების უზრუნველყოფა;
- შეტყობინებების სისტემის მართვა;
- ტრანსპორტისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური სამსახურების ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა.

შტაბის უფროსის მოადგილე შტაბის კოორდინაციის დარგში უზრუნველყოფს:

- საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას საგანგებო სიტუაციის დროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე;
- საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას;
- მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად განსაზღვრავს საგანგებო სიტუაცების შემთხვევაში მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მართვას;
- სატრანსპორტო უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებას;
- სამედიცინო ღონისძიებების ორგანიზებას ადგილობრივ დონეზე;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს ინფრსტრუქტურული ობიექტების უსაფრთხოების კოორდინირებას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:
შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს და აკონტროლებს საგანგებო სიტუაციის ზონაში ავტოტრანსპორტის შესვლას, გარდა სპეციალური მანქანებისა.შემოფარგვლავს და იცავს პერიმეტრს, აწარმოებს ბრძოლას მაროდიორობის წინააღმდეგ;
შპს ,,ჯანმრთელობის სახლი გურიაში'' და შპს ,,მედალფა'', ასევე სსიპ საგანგებო სიტუაციებისა და კოორდინაციის გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონული (ჩოხატაურის) ფილიალი - უზრუნველყოფს დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და სამედიცინო პუნქტებში გადაყვანას;
შპს ,,NEW ROAD'' და შპს „ტრანსპორტელი" - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებში ჩაბმული ძალების შესაბამისი ტრანსპორტით უზრუნველყოფას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
შპს "მაგთიკომი", ,,შპს ,,სილქნეტი, შპს ''ბილაინი'', შპს „სქაიტელი'' - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების, რეაგირების ძალების ფორმირებების, ჯგუფებისა და სხვა მონაწილე უწყებების კავშირით უზრუნველყოფას;
მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

3. შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დარგში

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროში ძირითადი ამოცანებია:
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;
- ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა;
- მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დაცვის უზრუნველყოფა.

შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგების დარგში, კოორდინაციას უწევს საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან კოორდინაციით და დახმარებით შემდეგი ქმედებების განხორციელებას:

- საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის ამაღლების მიზნით პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზებას;
- საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რაოდენობის განსაზღვრას;
- საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელ სამუშაოებში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განსაზღვრას;
- საგანგებო სიტუაციების ზონაში პირველადი მოხმარების ნივთებისა და სასიცოცხლო უზრუნველყოფის საშუალებების (კარვები, თბილი ტანსაცმელის კომპლექტი, საბნები, ინდივიდუალური აფთიაქები და სხვ.) ორგანიზებას;
- დაზიანების ზონებში სამაშველო, საავარიო-აღდგენითი სამუშაოების და მომუშავე ტექნიკის საწვავ-საპოხი მასალების მარაგების შექმნის ორგანიზებას;
- დაზარალებული მოსახლეობის სამედიცინო დახმარების და მათი დროებით განსახლების ადგილებში წყლით, კვებით, სურსათითა და პირველადი მოხმარების სამრეწველო საქონლით მომარაგებისათვის მარაგების შექმნას;
- მომარაგების მოძრავი პუნქტების შექმნის ორგანიზებას;
- დაზიანების ზონებში სპეციალური რეზერვების საწყობების ორგანიზებას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება, რომელიც კოორდინირებას უწევს მატერიალურ-ტექნიკური რეზერვების მარაგების განაწილებას;

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - ახორციელებს მატერიალური რესურსების ტრანსპორტირების დროს მოძრაობის მარშრუტებზე ტრანსპორტის დაუბრკოლებელი გადაადგილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას;

შპს „NEW ROAD" და შპს „ტრანსპორტელი" - მატერიალური რესურსების გადაადგილება/გადატანა და ტრანსპორტით უზრუნველყოფის კოორდინირება;

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსდ მომსახურების სააგენტოს გურიის რეგიონალური ცენტრის ჩოხატაურის სერვის ცენტრი;

ა(ა)იპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულება „მომავალი".

ღონისძიებებში ასევე ჩართულია **ა(ა)იპ - ჩოხატაურის „სერვის ჯგუფი".**

4 . შტაბის უფროსის მოადგილე კულტურის, ჯანდაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის დარგში

კულტურის, ჯანდაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის დარგში ძირითადი ამოცანებია: საგანგებო სიყუაციების დროს, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჰუმანიტარული ღონისძიებების მხარდაჭერა; კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

შტაბის უფროსის მოადგილე კულტურის, ჯანდაცვის და სოციალურ უზრუნველყოფის დარგში მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით ახორციელებს:

- საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას, მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარების მხარდაჭერასა და ორგანიზებას;

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო უზრუნველყოფის ღონისძიებების კოორდინაციას;
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების საევაკუაციო ღონისძიებების შემუშავებას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანიზაციები და მათი ფუნქციებია:
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება-კოორდინაციას უწევს საევაკუაციო პროცესში ჩაბმულ ძალებს და საშუალებებს;
შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - უზრუნველყოფს ევაკუაციის მარშრუტებზე უსაფრთხოებას;
შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის განყოფილება -უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების დაცვას;
შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“, შპს „მედალფა”, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაცისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონულ (ჩოხატაურის) სამსახური, სოფლის ამბუატორიები, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

5. შტაბის უფროსის მოადგილე საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის დარგში

საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვის სფეროში ძირითადი ამოცანებია:
- საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინირება;
- საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობის დაცვის მიზნით ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა.

შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგების დარგში საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას პასუხისმგებელია საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვაზე, რაც გულისხმობს აღნიშნული ღონისძიებების მართვას სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს კოორდინაციით.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება - დახმარებას უწევს მიმდინარე ღონისძიებებს, რათა მოხდეს იმ ობიექტების, მარშრუტების, ავტოკოლონებისა და ტერიტორიების დაცვა, რომლებსაც საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის დროს პრიორიტეტული და განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება.

6. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა

კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია:

- კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსების დაცვა, აღდგენა და უწყვეტობის უზრუნველყოფა.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად, კომპანიებთან, შპს "მაგთიკომი", ,,შპს ,,სილქნეტი, შპს ''ბილაინი'', შპს ,,სქაიტელი'' კოორდინაციით, უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციისას ელექტრონულ კომუნიკაციას, უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს კავშირგაბმულობისა და შეტყობინებების ხარისხის დონის შეფასებასა და აღდგენისთვის მზადყოფნას, მონიტორინგის წარმოებას და ინფორმაციის მიწოდებას საგანგებო შტაბისათვის.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება - დახმარებას უწევს საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის დაგეგმვის და მართვის სფეროში კავშირგაბმულობისა და შეტყობინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებაში;

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს ,,ხმამაღლა მოლაპარაკე" საშუალებით მოწყობილი ავტომანქანებით მოსახლეობის ინფორმირებას;

შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის განყოფილება - უზრუნველყოფს, წინასწარ განსაზღვრული გეგმით, საგანგებო სიტუაციებში ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვას;

სს ,,ენერგო პრო ჯორჯია" ჩოხატაურის მომსახურების ცენტრი - უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის ქსელების ობიექტების ელექტრომომარაგებას;

შპს საქართველოს ფოსტის ჩოხატაურის ფილიალი - საგანგებო სიტუაციების დროს წინასწარი შედგენილი გეგმის მიხედვით უზრუნველყოფს შეუფერხებელ საფოსტო კავშირს;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური - ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის საოპერატორო კომპანიებთან ერთად უზრუნველყოფს ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის ობიექტების ბიოლოგიური უსაფრთხოების ძირითადი ღონისძიებების შემუშავებას. უზრუნველყოფს მათი განხორციელების კოორდინირებას;

მერის წარმომადგენლები/თანაშემწეები ადმინისტრაციულ ერთეულებში - უზრუნველყოფს მუდმივ კომუნიკაციას მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ორგანოსა და მოსახლეობასთან.

7. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - სატრანსპორტო უზრუნველყოფა

სატრანსპორტო უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია:

- სატრანსპორტო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საავტომობილო საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირება და დაცვის უზრუნველყოფა.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად, პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას სატრანსპორტო უზრუნველყოფაზე, კომპანიებთან, **შპს ,,ტრანსპორტელთან" და შპს,, NEW ROAD"** კოორდინაციით, რაც გულისხმობს საგანგებო სიტუაციების ზონიდან უსაფრთხო განთავსების ზონებში მოსახლეობის ევაკუაციისთვის შესაბამისი საშუალებების მობილიზებას, დაზარალებული მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ავტოტრანსპორტის მობილიზებას, საგანგებო სიტუაციების ზონიდან უსაფრთხო ზონაში შესაბამისი ტრანსპორტით მატერიალური ფასეულობის გატანას, საავარიო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ეფექტიანად შესრულებისათვის საინჟინრო ავტოტრანსპორტისა და ტექნიკის მობილიზების ხელშეწყობას, შესაბამისი ავტოტრანსპორტის მობილიზებას ცხოველთა ევაკუაციისათვის.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება - კოორდინირებას უწევს სატრანსპორტო უზრუნველყოფის სისტემას;

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირებას და ევაკუაციის მარშრუტებზე უსაფრთხო გადაადგილებას;

სსიპ ,,საავტომობილო გზების დეპარტამენტი" - განსაზღვრავს და აწვდის ინფორმაციას შტაბს, ჩოხატაურის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების დროს რეკომენდებული საავტომობილო გზებისა და მიმართულების მითითებით შესაძლებელი სქემების შესახებ - შიდასახელმწიფოებრივ გზების შესახებ;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს საჭიროებიდან გამომდინარე, ტრანსპორტირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად რესურსის მოძიებასა და შესაბამის უწყებებთან ერთად ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების სქემების ფორმირების შემუშავებაში მონაწილეობას.

8. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - სამედიცინო უზრუნველყოფა

სამედიცინო უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია:

- სამედიცინო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია. საგანგებო სიტუაციების დროს სამედიცინო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- გარდაცვლილთა აღრიცხვა;
- სამედიცინო ტრანსპორტის უზრუნველყოფა.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად პასუხისმგებელია და საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურთან, **შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში“, შპს „მედალფასთან”, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონულ (ჩოხატაურის) სამსახურთან, სოფლის ამბულატორიებთან, ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან** კოორდინაციით უზრუნველყოფს:

- სამედიცინო უზრუნველყოფის ღონისძიებების ორგანიზებას ადგილობრივ დონეზე შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- საგანგებო სიტუაციების ზონაში, მოსახლეობის ჯანმრთელობის მონიტორინგს;
- გადაუდებელი სამედიცინო მომსახურეობის გაწევას;
- დაზარალებულთა დანიშნულების პუნქტებში გადაყვანას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის (ჩოხატაური) რაიონული სამსახური - დახმარებას უწევს დაზარალებულთა ტრანსპორტირებაში;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება - საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების და შედეგების ლიკვიდაციის მიზნით კოორდინაციას უწევს სამედიცინო დაწესებულებებს. მონაწილეობას იღებს საგანგებო სიტუაციის შედეგად გარდაცვლილთა სიკვდილის მიზეზების დოკუმენტირების, ფოტოგრაფირების და აღრიცხვის ორგანიზებაში;

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - უზრუნველყოფს საავადმყოფოების ტრანსპორტირების მარშრუტებსა და სასწრაფო დახმარების მანქანების დაუბრკოლებლად გადაადგილებას, კარანტინის ტერიტორიის იზოლირებას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის განყოფილება – უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულებების დაცვას;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ჩოხატაურის სამსახური - აწარმოებს საგანგებო სიტუაციის შედეგად გარდაცვლილთა რეგისტრაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური და სსიპ სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო - ახორციელებს სურსათით, ცხოველის საკვები ნედლეულის და ფურაჟის კონტროლსა და ექსპერტიზას. აწყობს დაზიანების კერებში ფიტოდავეტერინარულ კარანტინებს,

წყვეტს საავადმყოფეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხებს და დახმარების აღმოჩენის დროს წარმოქმნილ სხვა პრობლემებს.

9. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფა

ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანაა: საგანგებო სიტუაციებში ჰუმანიტარული ღონისძიებების განხორციელების კოორდინაცია.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად პასუხისმგებელია და საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის სამსახურთან კოორდინაციით უზრუნველყოფს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ჰუმანიტარული მხარდაჭერის ღონისძიებების შემუშავებას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება - უზრუნველყოფს ჰუმანიტარული დახმარების შესახებ მოთხოვნათა მომზადებას, საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნის მიზნით განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე ჰუმანიტარული დახმარების რეზერვების განთავსების ადგილებს. იღებს და ანაწილებს ჰუმანიტარულ დახმარებას, კოორდინირებას უწევს საერთაშორისო სამაშველო ჯგუფების მიღებას და საგანგებო სიტუაციების ზონაში განაწილებას;

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში ჰუმანიტარული ტვირთების ტრანსპორტირების რეგულირებასა და უსაფრთხოებას, ევაკუაციის მხარდაჭერას;

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს ჰუმანიტარული ტვირთების შემოტანისა და გამარტივებული წესით განბაჟებისათვის საჭირო ფინანსების მოძიებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება - უზრუნველყოფს ჰუმანიტარული დახმარებისა და მოხალისეთა მობილიზებას.

10. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - ენერგომომარაგების უზრუნველყოფა

ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანაა: მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, ასევე ორგანიზაციების მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის ღონისძიებების და მოსახლეობის დაცვის მიზნით ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებების მუდმივად ორგანიზება.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად პასუხისმგებელია და საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას **კომპანიებთან სს „ენერგო პრო ჯორჯია“ ჩოხატაურის მომსახურების ცენტრთან** და **შპს „სოკარ გაზთან“** კოორდინაციითა და დახმარებით უზრუნველყოფს:

- მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ენერგომატარებლებზე ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფას;
- საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების უზრუნველყოფის მართვის ორგანოების სისტემისა და ქვესისტემების შექმნას და მათი მუშაობის კოორდინაციას;
- საავარიო-აღდგენითი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების შესრულებას ენერგომომარაგების კომუნიკაციებსა და ქსელებზე;
- ტერიტორიაზე გამავალი გაზისა და ნავთობის მაგისტრალებზე ავარიების შემთხვევაში საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულების ორგანიზებას;
- სასიცოცხლო უზრუნველყოფის მიზნით დროებითი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მოწყობას;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების ელექტროენერგიით ოპერატიულ უზრუნველყოფას;
- საგანგებო სიტუაციების შედეგად ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანების სავარაუდო ადგილების განსაზღვრას (ნგრევის ზონებში);
- დაზიანებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის აღდგენას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება - საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა მართვის სფეროში, კოორდინაციას უწევს ენერგომომარაგების უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირებას. ახორციელებს საავარიო-აღდგენითი სამუშაოების მხარდაჭერას;
შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის განყოფილება - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების სისტემის ობიექტების დაცვას;
შპს "მაგთიკომი", **„შპს „სილქნეტი“ შპს „ბილაინი”, შპს „სქაიტელი”**- უზრუნველყოფს კავშირს საავარიო-აღდგენითი ძალების ქვედანაყოფებს შორის, საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოებთან, ადგილობრივ შტაბთან.

11. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა

მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანაა: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და დარგობრივი დაქვემდებარების შესაბამისად, ასევე მოსახლეობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციების მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების მუდმივად ორგანიზება.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად პასუხისმგებელია და საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას **სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონალური სამმართველოს (ჩოხატაურის)** კოორდინაციით და დახმარებით უზრუნველყოფს:

- საგანგებო სიტუაციების დროს ცხოველების საკვების საჭირო რესურსების გაანგარიშებას და მარაგის შექმნას;
- მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას;
- საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების ზონიდან პირუტყვის ევაკუაციის ორგანიზებას;
- საშიში ინფექციების გავრცელების თავიდან აცილების თაობაზე ზომების მიღებას და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს **გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება** - ახორციელებს რისკების ანალიზს, შეფასებას და დახმარების აღმოჩენას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში;

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ტრანსპორტირების მარშრუტებზე უზრუნველყოფს ტრანსპორტის დაუბრკოლებლად გადაადგილებას;

კომპანიები შპს „ტრანსპორტელი" და შპს "NEW ROAD"– კოორდინირებას უწევს ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

12. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფა

ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია:

- ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხორციელების კოორდინირება;
- საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საინჟინრო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა;
- ინფრასტრუქტურის აღდგენა, ინფრასტრუქტურის ობიექტებისა და სისტემების ურთიერთქმედების უზრუნველყოფა.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად პასუხისმგებელია და საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას, ასევე, მშვიდობიანობის დროს **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურთან კოორდინაციითა და დახმარებით უზრუნველყოფს:**

- საგანგებო სიტუაციის რისკის დროულად გამოვლენას, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას. მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო, საგამოცდო და საპროექტო სამუშაოების ორგანიზებას;
- ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო ნაგებობების, მათი ავარიულობის ხარისხისა და შესაძლო დაზიანებული რაიონის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების განსაზღვრას;

- განსაზღვრას, თუ რომელი საგზაო ნაგებობები გამოვა მწყობრიდან და რომელი ნაგებობების ექსპლუატაციაა შესაძლებელი რისკის გარეშე;
- დასახლებული პუნქტების ინფრასტრუქტურის, მიწისზედა და მიწისქვეშა კომუნიკაციების, საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობებისა და თავშესაფრების მდგრადი და უსაფრთხო უზრუნველყოფის ღონისძიებების და თავშესაფრებად გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრას;
- ინფრასტრუქტურის და საავტომობილო გზების, ქალაქთმშენებლობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მშენებლობის და საშენი მასალის წარმოების სფეროში საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვას;
- საგანგებო სიტუაციის ზონაში სტრატეგიული მნიშვნელობის საგზაო ნაგებობების მდგომარეობის შეფასება;
- საინჟინრო, საავარიო-აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებას ნგრევის ზონაში;
- გზებზე შესაძლო ჩამონაქცევების ადგილების განსაზღვრას, რომლებიც შეაფერხებს სატრანსპორტო მოძრაობას;
- სამშენებლო და მძიმე ტექნიკის მობილიზების განხორციელებას;
- მიწისქვეშა კომუნიკაციების (წყალსადენები, კანალიზაცია, გაზმომარაგება, ელექტრო და სატელეფონო კავშირის საკაბელო ხაზები) დაზიანების ან მწყობრიდან გამოსვლის უბნების განსაზღვრას;
- საგანგებო სიტუაციის ზონაში სასიცოცხლო მნიშვნელობის საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობების მდგომარეობის განსაზღვრას;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში არსებული დამცავი ნაგებობების შეფასება (კლასიფიკაცია, რამდენ კაცზეა გათვლილი და მათი მდგომარეობა);
- საინჟინრო, საავარიო-აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებას ნგრევის ზონაში;
- საკანალიზაციო წყლების მიწის ზედაპირზე გამოსვლისა და თავმოყრის ადგილებში შესაბამისი სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება - დახმარებას უწევს, რათა მოხდეს რისკების დროული ანალიზი, შეფასება და დახმარების აღმოჩენა;

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო უზრუნველყოფს საავტომობილო გზებზე უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის ორგანიზებას;

კომპანიები შპს „ტრანსპორტელი" და შპს "NEW ROAD"- უზრუნველყოფს საინჟინრო ნაგებობების, კომუნიკაციების, სპეციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო მაგისტრალების, ენერგეტიკულ და საინფორმაციო სისტემებზე საგანგებო სიტუაციების დროს ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფის ღონისძიებების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ორგანიზებას;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების საფრთხეების მონიტორინგსა და პროგნოზირებას და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის ნორმატიული რეგულაციებით სამრეწველო ობიექტებისა და დასახლებების რაციონალური განთავსების ორგანიზებას;

ა(ა)იპ „ჩოხატაურის სერვის ჯგუფი" - უზრუნველყოფს გზების გაწმენდას.

13. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა

სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია:

- სასურსათო და წყლით უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;
- საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი სასურსათო და წყლით უზრუნველყოფის ძალებისა და საშულებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- სურსათისა და წყლის დაცვის უზრუნველყოფა.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად პასუხისმგებელია და საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას, ასევე მშვიდობიანობის დროს **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურთან და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან** კოორდინაციითა და დახმარებით უზრუნველყოფს:

- საგანგებო სიტუაციაზე გამკლავების მიზნით სასურსათო რესურსებისა და მარაგის საჭირო ოდენობათა განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის კოორდინირებას საგანგებო სიტუაციების მართვის ყველა დონეზე;
- სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის რეზერვების მდგომარეობის მუდმივ მონიტორინგს და შეფასებას;
- სურსათისა და წყლის რეზერვების საგანგებო სიტუაციების ზონებში მოწოდებას;
- საველე კვების ბლოკების ფუნქციონირების ორგანიზებას;
- სურსათითა და წყლით უზრუნველყოფის რეზერვების განახლების მიზნით, შესაძლო საგანგებო სიტუაციების რისკების შეფასებას. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე არსებული მარაგების ოპტიმიზაციას და საქართველოს მთავრობისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;
- საგანგებო სიტუაციის ზონებში სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობის ღონისძიებების უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

ძირითადი დამხმარე ორგანოა - **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური და სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის (ჩოხატაურის) რეგიონალური სამმართველო** .

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი **სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება** - დახმარებას უწევს წყლის მობილური რეზერვუარების უზრუნველყოფაში, სურსათისა და წყლის განაწილების ორგანიზებაში;

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - უზრუნველყოფს სურსათის ტრანსპორტირების დროს მოძრაობის მარშრუტებზე ტრანსპორტის დაუბრკოლებელ გადაადგილებას;

კომპანიები შპს „ტრანსპორტელი" და შპს „NEW ROAD" უზრუნველყოფს ტრანსპორტირების ორგანიზებას სახმელეთო ტრანსპორტით.

14. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა

საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია:

- საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების განხორციელების კოორდინირება;
- აღდგენითი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო სამაშველო ძალების ჩაბმის ორგანიზება.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად პასუხისმგებელია და საგანგებო სიტუაციის წარმოშობისას **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილების** კოორდინაციითა და დახმარებით უზრუნველყოფს:

- საგანგებო სიტუაციის ზონაში ნგრევის და გაზრდილი საშიშროების ცალკეული კერების ლოკალიზაციას;
- კომუნალური და საწარმოო კომუნიკაციების ქსელებსა და ხაზებზე ავარიებისა და დაზიანებების აღმოფხვრას;
- მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფისათვის მინიმალურად საჭირო პირობების შექმნას;
- ტერიტორიის სანიტარიული გაწმენდისა და გაუსნებოვნების სამუშაოების ჩატარებას;
- საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას;
- კომუნალური სამსახურების ფუნქციონირების აღდგენა;
- სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისთვის მიკუთვნებული ობიექტების ფუნქციონირების მდგრადობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება;
- მოსახლეობის ფსიქოლოგიური დაცვისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციის ზონაში ტერიტორიის სანიტარიული დამუშავება და გაწმენდა;
- ზღვრულად დასაშვები ნორმების დონემდე ტერიტორიის, ობიექტების, წყლის, სურსათის, ცხოველის საკვები ნედლეულისა და ცხოველის საკვების რადიოაქტიური და საშიში ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებისა და დასნებოვნების შემცირება დეზაქტივაციის, დეგაზაციის და დემერკურიზაციის, ხოლო საშიში ბიოლოგიური ნივთიერებებით დაბინძურებისა და დასნებოვნებისას დეზინფექციისა და დეტოქსიკაციის გზით.

ზემოთაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები და მათი ფუნქციებია:

კომპანიები შპს ტრანსპორტელი'' და შპს "NEW ROAD" - კოორდინირებას უწევს საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენით სამუშაოებში ჩაბმული ძალების სახმელეთო ტრანსპორტით უზრუნველყოფას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონაში შენობა-ნაგებობების მდგრადობის შეფასებასა და ვარგისიანობის განსაზღვრას;

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების დროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საჭირო თანხების მოძიებას;

„ენერგო პრო ჯორჯიას“ ჩოხატაურის მომსახურების ცენტრი, და შპს „სოკარ ჯორჯია” (გაზი) უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში ენერგო და გაზმომარაგების კომუნიკაციებზე საავარიო-აღდგენითი ჯგუფების მუშაობას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - საგანგებო სიტუაციების ზონებში ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს და კრძალავს ავტოტრანსპორტის შესვლას, გარდა სპეციალური მანქანებისა, შემოფარგლავს და დაიცავს პერიმეტრს;

შპს „ჯანმრთელობის სახლი გურიაში”, შპს „მედალფა”, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონული (ჩოხატაურის) ცენტრი და საქართველოს წითელი ჯვრის ჩოხატაურის ფილიალი ორგანიზებას უკეთებს და მონაწილეობს მოსახლეობის ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური დაცვისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებში.

15. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა -კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა

საგანგებო სიტუაციების ზონაში ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანებია:

- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის უზრუნველყოფა.

შტაბის წევრი (კულტურის, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის განვითარების სამსახური) ძირითად ამოცანებთან ერთად უზრუნველყოფს:

- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას და მათი განხორციელების კოორდინირებას;
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების უსაფრთხო ზონაში ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავებას და მათი განხორციელების კოორდინირებას;
- საევაკუაციო ღონისძიებების დაცვის უზრუნველყოფას;
- საგანძურისა და ფინანსური ფასეულობების დაცვის უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანიზაციები და მათი ფუნქციებია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტოს გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილება - კოორდინაციას უწევს საევაკუაციო პროცესში ჩაბმულ ძალებს და საშუალებებს;

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ჩოხატაურის რაიონული სამმართველო - უზრუნველყოფს ევაკუაციის მარშრუტებზე უსაფრთხოებას;

შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის განყოფილება -უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების დაცვას.

16. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - ფინანსური უზრუნველყოფა

ფინანსური უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანაა:

- საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რაოდენობის განსაზღვრა;
- საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელ სამუშაოებში ფინანსური რესურსების განსაზღვრა;
- საგანგებო სიტუაციების ზონაში პირველადი მოხმარების ნივთებისა და სასიცოცხლო უზრუნველყოფის საშუალებების ორგანიზება.

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად პასუხისმგებელია:

- საჭიროებიდან გამომდინარე, ტრანსპორტირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებლად რესურსის მოძიებასა და შესაბამის უწყებებთან ერთად ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების სქემების ფორმირების შემუშავებაზე;
- სასურსათო რესურსებისა და წყლის მარაგის საჭირო ოდენობათა განსაზღვრისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის კოორდინირებაზე საგანგებო სიტუაციების მართვის ყველა დონეზე;
- საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების უზრუნველსაყოფად, საგანგებო სიტუაციების დროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საჭირო თანხების მოძიებაზე.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელებისას დამხმარე ორგანოები: ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური, მუნიციპალური შესყიდვების სამსახური, სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, ზედამხედველობის სამსახური.

17. შტაბის წევრი

დაკისრებული მოვალეობა - ჰუმანიტარული დახმარებისა და მოხალისეთა მობილიზება
საქართველოს წითელი ჯვრის ჩოხატაურის ფილიალის მენეჯერი თამარ კოროშინაძე

შტაბის წევრი ძირითად ამოცანებთან ერთად ორგანიზებას უკეთებს და მონაწილეობს მოსახლეობის ჯანმრთელობის, ფსიქოლოგიური დაცვისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებში. უზრუნველყოფს:

- საგანგებო სიტუაციების დროს საჭიროებების შეფასებას;
- მოხალისეების მობილიზებას;
- ფსიქო-სოციალური დასახმარების გაწევას;
- საჭიროების შესაბამისად საჭირო ნივთებისა და საკვების მიწოდების ორგანიზებას.

დაკისრებული მოვალეობა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქმიანობის კოორდინირება. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პროცესში ჩართული მოხალისეების საქმიანობის კოორდინირება. სამედიცინო უზრუნველყოფისა და დაშავებულთა/დაზარალებულთა ფსიქო-რეაბილიტაციის აქტივობების ორგანიზება. საევაკუაციო ღონისძიებებისა და ჰუმანიტარული დახმარების მხარდაჭერა.